



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

№ 13

ქ. ბათუმი

2019 წლის 30 ოქტომბერი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ მ ბ ო ზ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
თემურ კახიძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
დimitრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;

მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარე;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;
გელა დეკანაძე	საკრებულოს წევრი.
არ ესწრებოდნენ:	
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურბე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - ჯაბა ტულუში;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები: საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, საკრებულოს აპარატის უფროსის მ/შ - მადონა თურმანიძე; იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა და წარმატებები უსურვა დამსწრე-საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს 23 ოქტომბრის ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო 14 საკითხი, საკრებულოს 29 ოქტომბრის ბიუროს გადაწყვეტილებით ორი საკითხი ამოღებულ იქნა, ერთი საკითხი განხილვიდან და მეორე საკითხი სიღრმისეული შესწავლის მიზნით, ასევე დღის წესრიგს დაემატა ორი სამართლებრივი აქტის პროექტი, დღეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 16 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

საკითხი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ნუკრი დეკანაძე)

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

საკითხი 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ ნებართვის მაძიებლებზე სამარშრუტო ხაზების მიხედვით ნებართვის გაცემის და მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

საკითხი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მესამე და მეოთხე ფაზის განმახორციელებელ კონსორციუმებთან (წარმოდგენილი კომპანია Egis Eau SA სახით) გასაფორმებელი მორიგების ხელშეკრულების მოწონების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი ჯაბა ტულუში)

საკითხი 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და შპს „ხიდი 2006“ -ს შორის 2018 წლის 18 მაისს დადებულ „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

საკითხი 10. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის N4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

საკითხი 11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

საკითხი 12. „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

საკითხი 13. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური სემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ 2018 წლის 27 დეკემბრის №79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 15. ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N57-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე ანზორ კვაჭაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

საკითხი 16. სამშენებლო კომპანია შპს „სვეტი ჯგუფის“ მიერ დაზარალებულთა პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძიების შესახებ მომართვის პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე - გელა დეკანაძე)

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 20 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი არჩილ მამულაძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას, მიულოცა ჯაბა ტულუშს ვიცე-მერის თანამდებობაზე დანიშვნა. მან აღნიშნა, რომ მოსახლეობისთვის მტკივნეული საკითხია ბათუმის საბავშვო ბალებთან დაკავშირებული საკითხი, იწყება ბალების ავტორიზაცია, სადაც იქნება მკაცრად გაწერილი რეგულაციები. ტელევიზიით გაშუქებულ ინტერვიუში ითქვა, რომ 1600 ბავშვია დარჩენილი საბავშვო ბაღის გარეშე, ავტორიზაციის შედეგად მოსალოდნელია რამდენიმე ბაღის ფუნქციონირების შეწყვეტა. ასევე გამომსვლელმა აღნიშნა, რომ არც ერთი ბავშვი არ დარჩება ბაღის გარეშე და გადანაწილდებიან სხვადასხვა ბაღებში. აქედან გამომდინარე გარეთ დარჩენილ ბავშვებს დაემატება და რეგულაციებიც დაირღვევა. საბავშვო ბაღების მშენებლობის საკითხს დროზე თუ არ მიხედავს მერია, მალე საერთოდ აღარ იქნება თავისუფალი ტერიტორია მშენებლობისათვის. ქალაქში ინტენსიური მშენებლობების გამო, ქალაქში არ დარჩება ადგილი ბაღების აშე-

ნებისათვის. გარდა ამისა, კომახიდის ქუჩის მცხოვრებლები, ხანძრის შედეგად დაზარალებულები საცხოვრებლად დროებით განათავსეს, მაგრამ არ უხდინან შესაბამის კომპენსაციას. მათ ემუქრებათ გამოსახლება, ვიცე-მერს თხოვნით მიმართა აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება. ტენდერების გაჭიანურების თაობაზე წელიწად-ნახევრის წინ დააყენა საკითხი, მაშინ დაპირება იყო, რომ ტენდერის ჩატარება და თამარის დასახლებაში რკინიგზაზე გადასასვლელის მოწესრიგების საკითხი დასრულდებოდა. საკითხი სასწრაფოდ მოსაწესრიგებელია. ასევე ანგისის ტერიტორიაზე სავალალო მდგომარეობაა.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე თვის უკან ლაშა სირაბიძემ გააკეთა განცხადება ა(ა)იპ „ბათუმის სასაფლაოების“ დირექტორის სხდომაზე მოსვლასთან დაკავშირებით, რომელიც ვერა და ვერ მოხერხდა საკრებულოს სხდომაზე დირექტორის დასწრება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არა ერთი სიუჟეტი იქნა ტელევიზიით გაშუქებული, ტენდერის ჩატარების შემდეგ ქალაქ ბათუმის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 3 მილიონ ლარზე მეტი სასაფლაოს კეთილმოწყობისათვის. რაც შეეხება საკითხს, რომელიც დღის წესრიგშია ქონების გადაცემა მთავრობისათვის, თითქმის ყველა სხდომაზე ასეთი საკითხი განიხილება, რისთვისაც აღნიშნა, რომ ბათუმის საცხენოსნო კლუბს არ გააჩნია თავის ბალანსზე რიცხული ტერიტორია და შესაბამისად, ვერ ხორციელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. მან მოითხოვა წარმატებული ა(ა)იპ-ისთვის ტერიტორიის გამოყოფა.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ გზებზე დაგებული ასფალტის საფარი მალე ზიანდება, რაშიც საკმაო რაოდენობის თანხა იხარჯება. ასევე გზების რამდენჯერმე გადათხრითი სამუშაოები პრაქტიკიდან უნდა იქნას ამოღებული. წინასწარ დაპროექტებისას უნდა მოხდეს დაზიანებული ადგილების შესწავლა. ასევე ფიროსმანის ქუჩაზე ავარიული სიტუაცია იქმნება, არასწორადაა დახაზული ნიშნულები. რაც შეეხება მამია ვარშანიძის ქუჩის ბოლოს, გასაკეთებელია ქუჩა, რადგან მოსახლეობას აწუხებს. ანწუხელიძის ქუჩის ნომერაცია გასასწორებელია. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მოხდეს რეაგირება.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ ბოლო ორი დღეა საგანგებო რეჟიმში მუშაობს ქალაქ ბათუმის მერია, სტიქიამ დამატებითი ზარალი მიაყენა ქალაქს, მიმართა თხოვნით შესაბამისმა სამსახურებმა დროულად მოახდინონ ზარალის შეფასება და რეაგირება.

საკრებულოს წევრმა ირაკლი პატარიძემ განცხადება გააკეთა ქალაქში მაწანწალა ძაღლების პრობლემის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით პრევენციული ზომებია მისაღები.

საკრებულოს წევრმა თამაზ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ გოგოლის ქუჩის მიმდებარედ გამოყოფილია მძიმეტონიანი მანქანებისთვის ადგილი, მაგრამ ქალაქში პატარ-პატარა უბნებში შეინიშნება გაჩერებული მანქანები, რომელიც სავალ ნაწილს ზღუდავს. დასახლებებს პრობლემებს უქმნის. ასევე ქალაქში ამორტიზირებული, გაფუჭებული მანქანები წლებია დგას, რისთვისაც შესაბამისი სამსახურის მიერ მოხდეს აღნიშნული საკითხების მოგვარება.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

საკითხი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ შექმნა, რომელიც გააერთიანებს ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირის და მთლიანად მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა საზედამხედველო ფუნქციას.

წარმოდგენილი მოდელის მიხედვით ნაცვლად სხვადასხვა სამსახურებში გაბნეული ზედამხედველობითი ფუნქციებისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნდება ერთიანი მძლავრი სამსახური ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“, რომელშიც თავს მოიყრის მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული ყველა ზედამხედველობითი ფუნქცია - ჯამში დაახლოებით იგივე საშტატო რიცხოვნობის ოდენობით 160-180 საშტატო ერთეული (დაზუსტდება ბიუჯეტით და საშტატო ნუსხით). წარმოდგენილი მოდელის მიხედვით ხდება სხვადასხვა ორგანიზაციებში გაბნეული საშტატო ერთეულების გადანაწილება საჭიროებებისა და გამოწვევების მიხედვით, კერძოდ იქ, სადაც არსებობს საჭიროება ადამიანური რესურსის გამლიერების ემატება საშტატო რიცხოვნობები, მაგალითად სამშენებლო ზედამხეველობის მიმართულებით, სწრაფი რეაგირების, გამოტანილი დადგენილებების აღსრულების და მონიტორინგის მიმართულებით, სამარშუტო ხაზებისა და ტრანსპორტის მონიტორინგის მიმართულებით.

შესაბამისად უნდა განხორციელდეს, მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული სხვადასხვა სამსახურების და ორგანიზაციების საშტატო ნუსხების ცვლილებები, კერძოდ არქიტექტურის სამსახურის, ქონების მართვის სამსახურის, ჯანდაცვის სამსახურის, მუნიციპალური სერვისების სააგენტოს, ბათუმის ავტოტრანსპორტის, ბათუმის სანდასუფთავების, ბათუმის გამწვანების, კერძოდ ამ ორგანიზაციებში გაუქმდეს უნდა ზედამხეველობის და კონტროლის მიმართულებით არსებული საშტატო ერთეულები და გადავიდეს ახალ ორგანიზაციაში.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ეფექტური სამსახურის შექმნისათვის ასევე განხორციელდა შესაბამისი საოფისე ფართის გამონახვის მოსამზადებელი სამუშაოები, ეფექტური სამსახურის შექმნისათვის აუცილებელი იქნება თანამშრომელთა მატერიალურ ტექნიკური კუთხით აღჭურვა ყველა საჭირო ინვენტარით, ხელსაწყოებითა და სხვა სახის საშუალებებით, (მაგ. პლანშეტები, პროგრამური უზრუნველყოფა, სამხრე ვიდეოკამერები, სპეციალური აპარატურა, რომლითაც მოხდება სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობის აზომვა, ხარისხის შემოწმება და ა.შ.). ამასთან ერთად აუცილებელია თანამშრომელთა ჩაცმულობის ბრენდირება - სპეციალური დამზადებული ფორმებით და მათი აღჭურვა ბრენდირებული ავტომანქანებით, რომელიც იქნება აღჭურვილი შესაბამისი ხმოვანი და ნათების მქონე აპარატებით მსგავსად თბილისის ზედამხედველობის სამსახურისა. ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ ფუნქციები იქნება:

ა) ბათუმის ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობაზე, სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების, მათ შორის უსაფრთხოების წესების დაცვაზე ზედამხედველობა

და დარღვევის ფაქტების გამოვლენა, უნებართვო ან/და დარღვევით მშენებარე ობიექტების შეჩერებაზე, სამშენებლო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოყვანაზე ან/და დემონტაჟზე სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოება და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, საჯარიმო სანქციების გამოყენება;

ბ) სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების (სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვა, მიწის გრუნტისა და სამშენებლო ნარჩენების სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში გატანა, მიწისქვეშა კომუნიკაციათა ჩაწყობა-გადაკეთებისა და მიწის გათხრასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების ჩატარება, სამუშაოების დამთავრების შემდეგ ობიექტის კეთილმოწყობა-მოწესრიგება და სხვა) წესების დაცვაზე და დროულ და ხარისხიან შესრულებაზე კონტროლის დაწესება;

გ) თვითმმართველი ერთეულის იერსახეზე, გარე ვაჭრობის, პლასტიკისა ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის, რეკლამის, აბრის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, ავტომანქანების პარკირების წესების დაცვაზე ზედამხედველობა, დარღვევის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება, მათ შესაბამისობაში მოყვანა/შესრულებაზე კონტროლი;

დ) უკანონო, უსახური და ამორტიზებული შენობა-ნაგებობების, ჯიხურების, ავტოფარეხების, პავილიონების, მცირე არქიტექტურული ფორმების მქონე მანქანა-დანადგარების, დახლების, სხვადასხვა კონსტრუქციების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, აბრების, აფიშების, პლაკატებისა და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება;

ე) აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ზღვრის გადაჭარბებისა და პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენების ფაქტების გამოვლენა და კონტროლი;

ვ) მწვანე ნარგავების დაზიანებაზე ან/და განადგურებაზე კონტროლის განხორციელება;

ზ) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ დადგენილი ზომების განხორციელება;

თ) დასრულებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება და შესაბამისი აქტის გამოცემა;

ი) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, დადგენილი წესით, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის უფლების (ნებართვა, თანხმობა, დადასტურება) მინიჭების თაობაზე შესაბამისი აქტების გამოცემა;

კ) კომპეტენციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებებში (სილამაზის სალონები, სასტუმროები, აბანოები, სამრეცხაოები, საცურაო აუზები და სხვა), საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში ლაბორატორიული კვლევების ჩატარება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი შესაძლო მავნე ზეგავლენის შეფასება;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში (საპარკმახეროები, კოსმეტიკური კაბინეტები, სასტუმროები, კემპინგები, მოტელები, ავტოსადგომები, აბანოები, საუნები, საშხაპეები, სამრეცხაოები, საზოგადოებრივი პლაჟები, კინოთეატრები, საკონცერტო დარბაზები, სპორტული მოედნები, ნაგავსაყრელები,

- ტურისტული ბაზები, სანატორიუმები, სათამაშო სახლები, საგამოფენო დარბაზები, კლუბები, ატრაქციონები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვა დაწესებულებები) სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- მ) კომპეტენციის ფარგლებში, საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული სახის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- ნ) კომპეტენციის ფარგლებში, დადგენილი წესით, დაწესებულების მოწყობის სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობის დასკვნის გაცემა;
- ო) კომპეტენციის ფარგლებში, ეპიდსაშიშროებისას პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიების გატარება;
- პ) კომპეტენციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველად ეპიდვლევის ხელშეწყობა;
- ჟ) პარკირების წესების დარღვევის ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
- რ) მგზავრთა გადაყვანის ავტოტრანსპორტის ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
- ს) მუნიციპალურ ავტოტრანსპორტში მგზავრთა გადაყვანის ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
- ტ) საჯარიმო სადგომების და მუნიციპალური პარკირების ადგილების ადმინისტრირება;
- უ) სააგენტოს მიზნებისა და ფუნქციების გათვალისწინებით, კომპეტენციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმების და სტრატეგიების დოკუმენტებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება;
- ფ) კომპეტენციის ფარგლებში საქალაქო, საქალაქთაშორისო და მუნიციპალური ტრანსპორტის მონიტორინგის განხორციელება; მუნიციპალური ავტობუსების მგზავრთა ნაკადების მონიტორინგის განხორციელება;
- ქ) მოსაკრებლებისა და ჯარიმების ამოღების უზრუნველყოფა;
- ღ) მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძემ დასვა შეკითხვა ბათუმის ტერიტორიაზე საზედამხედველო საქმიანობის პრობლემის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულაციების ფარგლებში ცდილობენ მაქსიმუმი გაკეთდეს საზედამხედველო მიმართულებით, თუმცა არსებობს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები, რაც ბოლომდე ხელს უშლის. მირდატ ქამადაძემ დასვა კითხვა მუნიციპალური ინსპექციის შექმნით რა გაუმჯობესდება, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალი და სათანადო სტრუქტურაა საჭირო რეაგირებისათვის. სხვადასხვა ორგანიზაციებში განთავსებული საზე-

დამხედველო განყოფილებებმა გამოიწვია დროში გაწელვა, არაეფექტურობა და რეაგირება. მირდატ ქამადაძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ განცხადებით მიმართა მერიას და მოითხოვა ქალაქის ცენტრში, კლდიაშვილის ქუჩა 25-ში, მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსზე მოხდა სამი სართულის დაშენება, რის საფუძველზე მერიისგან პასუხი მიიღო, რომ ამაზე ნებართვა არ გაცემულა ანუ უკანონო აშენება მოხდა. გამომდინარე აქედან, რომ ყოფილიყო მუნიციპალური ინსპექცია, მოქმედი უკანონო აშენება ვერ მოხდებოდა? მომხსენებლის განმარტებით, ზოგადად 100%-იანი დაზღვევა რისკებისა არ არსებობს. ინსპექცია იქნება სათანადო ადამიანებით, რესურსით და ტექნიკით აღჭურვილი.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ კომუნისტების დროს ებრძოდნენ ცენტრალიზაციას, რომ დაშლილიყო. დღეს კი ერთ სივრცეში გაერთიანებით ქაოსი მიიღება თუ ეფექტურობა, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიის აზრით, მიღებული იქნება ეფექტური სამსახური და ისეთ სამსახურს, რომელიც სათანადო რეაგირებას მოახდენს გამოწვევისათვის.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ სიახლეებს იწვევს სრულყოფილების სურვილი, იმიტომ, რომ რა ნაბიჯებიც არ უნდა იქნეს გადადგმული, ყველა რეფორმას აქვს ძლიერი და სუსტი მხარე. ქალაქში წლების განმავლობაში იყო გარე ვაჭრობის აღმოფხვრის პრობლემა რიგ ადგილებში, რომელიც დღეს აღმოფხვრილია, მაგრამ მოსახლეობის მხრიდან მუდმივად ისმოდა საყვედური იმასთან დაკავშირებით, რომ ცალკეული ადამიანები მაინც ცდილობენ, გამოვიდნენ და ივაჭრონ. ბათუმში 23-ე საჯარო სკოლასთან მოწესრიგდა გარე ვაჭრობა, მაგრამ მოსახლეობის ნაწილი ცდილობს მაინც ივაჭროს, მუნიციპალური ინსპექცია რას გაატარებს, რომ მსგავსი შემთხვევები არ იყოს? რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული, თუნდაც უკნონო გარე ვაჭრობის აღკვეთის კუთხით და პრობლემური ადგილები, რომელიც ამახინჯებდა ქალაქს და ქმნიდა ანტისანიტარიას, აღმოიფხვრა. მონი-

ტორინგი დღესაც ყოველდღიურად გრძელდება, რის გამოც სწრაფი რეაგირებისათვის საჭიროა საზედამხედველო ფუნქციის ერთი რგოლის ქვეშ მოქცევა, მაგალითად, თუ ადამიანი კონკრეტული მონიტორინგის მიმართულებით მიდის გარე ვაჭრობის კუთხით და სხვა სახის სამართალდარღვევას აღმოაჩენს, მას უნდა ჰქონდეს ეფექტური რეაგირების უფლება.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ სტრუქტურულ რეორგანიზაციაში პრობლემას ვერ ხედავს. ქალაქში კარგად და ეფექტურად უნდა მუშაობდეს მერია ზედამხედველობის კუთხით.

საკრებულოს წევრმა გელა დეკანაძემ დაზუსტების მიზნით დასვა შეკითხვა საზედამხედველო ფუნქციით მომუშავე ადამიანების რაოდენობის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ 160 ადამიანი არის დასაქმებული. მომავალი წლიდან სამსახურის დაკომპლექტება მოხდება ტესტირების გზით.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ დასვა შეკითხვა, ახალი კანონით მუნიციპალური ინსპექციას უკანონო მშენებლობების უსახური შენობების დემონტაჟთან დაკავშირებით, ექნება თუ არა სათანადო ტექნიკა? რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საკანონმდებლო კუთხით, 3 დეკემბრიდან ამოქმედდება არქიტექტურისა და სამშენებლო საქმიანობის შესახებ კოდექსი, რომელიც მთლიანად ცვლის და ახლებურად არეგულირებს სამშენებლო სფეროში არსებულ სიტუაციას, ამიტომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ფუნქციები ეზრდება საზედამხედველო რგოლს მშენებლობებისა და სამშენებლო უსაფრთხოების მიმართულებით და აღიჭურვება ყველა იმ უფლებამოსილებით, რაც საკანონმდებლო სიახლით არის გათვალისწინებული.

საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ აღნიშნა, რომ ორი წლის წინ ლაშა კომახიძემ მერად არჩევის შემდეგ ჩაატარა რეფორმა ზედამხედველობის კუთხით, დაანაწევრა სამსახური, გამომდინარე აქედან დღეს ერთიანდება, ასევე მოიკითხა ქალაქის მერი, თუ რატომ არ ესწრება საკრებულოს სხდომას, რაზედაც

მომხსენებელმა უპასუხა, რომ ქალაქის მერი ოფიციალურ მივლინებაშია, წერილობით მოთხოვნის შემთხვევაში მიაწვდის ინფორმაციას. მან ასევე აღნიშნა, რომ საზედამხედველო ფუნქციები ბოლო 20 წლის განმავლობაში დანაწევრებული იყო სხვადასხვა სამსახურებზე. ზედამხედველობის სამსახური არსებობდა მხოლოდ სამშენებლო და ადმინისტრაციული ფუნქციით. დანარჩენი ყველა საზედამხედველო ფუნქცია იყო სხვადასხვა ორგანიზაციებში. მაგ დროს საკანონმდებლო რეგულაციები არ იძლეოდა საშუალებას ცალკე ორგანიზაციის სახით ერთიან სამსახურად დაფუნქციონირებოდა.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ზედამხედველობის ფუნქციის გაძლიერებაში ეთანხმება, მაგრამ კარგი იქნებოდა უფრო მყარი არგუმენტები ჰქონოდა მომხსენებელს, ასევე დასვა შეკითხვა ფინანსური კუთხით, რამდენი დაიხარჯება აღნიშნული ინსპექციისთვის?, რაზედგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფინანსური კუთხით შრომის ანაზღაურების მუხლი დღეს არსებული რესურსით, რომელშიც დასაქმებულია სხვადასხვა ორგანიზაციებში, მათი შრომის ანაზღაურების მუხლებით გათვალისწინებულია მილიონ ცხრა ათასი ლარი, ბუნებრივია, რომ ეს თანხა გამოთავისუფლდება ორგანიზაციებიდან და გადმოტანილი იქნება ახალ ორგანიზაციაში, სათანადო რესურსისა და აღჭურვის კუთხით იქნება საჭირო დამატებითი თანხების მობილიზება.

საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძემ ფრაქციის სახელით აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხზე პასუხები ვერ მიიღეს, რაც ნიშნავს იმას, რომ საკითხი მოუმზადებელია და ამ საკითხის მიზანშეწონილობა არ იქნა დასაბუთებული. ერთადერთი გარემოება, რაც ლოგიკასთან ახლოსაა, როგორც მომხსენებელმა თქვა, რომ ერთი რგოლის ქვეშ იმიტომ უნდა განხორციელდეს, მაგალითად ადამიანი სხვა დარღვევაზე გასული, სხვას რომ აღმოაჩენს, მას შეტყობინება არ უნდა სჭირდებოდეს და თვითონ უნდა რეაგირებდეს. მერიის ერთი უწყება მეორეს თუ ატყობინებს, ამაში არ არის პრობლემა. ფინანსურ ნაწილთან დაკავშირებით არასწორი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მიზანშეწონილია დადგენილებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: დადგენილების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ ნაცვლად ჩაიწეროს „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 2 (დ. ჭიშვილი, თ. კახიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მამიებელთა კონკურსის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ ნებართვის მამიებლებზე სამარშრუტო ხაზების მიხედვით ნებართვის გაცემის და მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული განკარგულების პროექტის მიღების მიზანია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მამიებელთა კონკურსის ჩატარებისათვის შექმნილი კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმი N4 (23.09.2019) და N30 და N56 სამარშრუტო ხაზებზე ჩატარებული განმეორებითი კონკურსის შემაჯამებელი ოქმი N6 (15.10.2019) თანდართული დანართი N1-ით. ასევე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მამიებელთა კონკურსის შედეგების საფუძველზე, სამარშრუტო ხაზების მიხედვით გამარჯვებულ ნებართვის მამიებლებზე: შპს „ჯორჯიანტრანსი“ - ს/კ 445409932, შპს „ავტო ტრანსი“ - ს/კ 445538133, შპს „მწვანე

შუქი“ - ს/კ 245525383, შპს „ავტომობილისტი 42“ - ს/კ 445497677, შპს „აქტრანსრეგულირება“ - ს/კ 248431889 და სპს „ირაკლი ჩავლეიშვილი“ - ს/კ 248383912 ნებართვის გაცემა და ხელშეკრულების გაფორმება.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 3 (დ. ჭეიშვილი, თ. კახიძე, ლ. სირაბიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მესამე და მეოთხე ფაზის განმახორციელებელ კონსორციუმებთან (წარმოდგენილი კომპანია Egis Eau SA სახით) გასაფორმებელი მორიგების ხელშეკრულების მოწონების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი ჯაბა ტულუში)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მერიას აქვს საარბიტრაჟო დავა ფრანგულ საკონსულტაციო კომპანია ეგისთან (EGIS EAU), რომელიც წარმოადგენს კონსორციუმის ლიდერ კომპანიას ქ. ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მესამე და მეოთხე ფაზების ფარგლებში გაფორმებული საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად (ფაზა 3 - კონსორციუმი „Egis – Lahmeyer – Municipal Project – Geohydro Service“ - ხელშეკრულება გაფორმებული იქნა 2012 წლის 15 ოქტომბერს; ფაზა 4 - კონსორციუმი „Egis – IGR – Municipal Project – Geohydro Service“ - ხელშეკრულება გაფორმებული იქნა 2015 წლის 22 დეკემბერს). აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებდა კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებასა და პროექტების ზედამხედველობას.

ქალაქ ბათუმის მერიის ინტერესებს იცავს გერმანელი იურისტი ბატონი ზალგერი, ხოლო მუნიციპალიტეტის მხრიდან დაქირავებული სპეციალისტი ლაშა სეფერთელაძე, ამ დავის ფარგლებში ქალაქ ბათუმის მერიის მოთხოვნას წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება **2 429 767,09 €** ევროს ოდენობით, აღნიშნული მოთხოვნა დაფუძნებულია უფროსი ინჟინერ ექსპერტის შტეფან მეშკეს შეფასებაზე, ხოლო ფრანგულ საკონსულტაციო კომპანია ეგისის (EGIS EAU) მოთხოვნას მერიის

მიმართ წარმოადგენს **5 434 973,63 €** ევროს (2018 წლის ივნისის მონაცემებით). ამ ეტაპზე მხარეები ვიმყოფებით წინასაარბიტრაჟო მოლაპარაკებების ეტაპზე. დღეის მდგომარეობით კომპანია ეგისმა (EGIS EAU) შემოგვთავაზა მორიგება, რაც გულისხმობს:

1. ქალაქ ბათუმის მერიის მხრიდან მოთხოვნაზე უარის თქმა.
2. საკონსულტაციო კომპანია ეგისის მხრიდან ამავდროულად თავის სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა.
3. დამატებით საკონსულტაციო კომპანია ეგისის (EGIS EAU) ქალაქ ბათუმის მერიას, ბიუჯეტის სასარგებლოდ 100 000 ევროს გადაუხდის, რითაც დასრულდება საბოლოოდ აღნიშნული დავა.

ქალაქ ბათუმის მერიის წინაშე არსებობს შემდეგი ალტერნატივა დავის შემდგომ გაგრძელებასთან დაკავშირებით, რაც მდგომარეობს შემდეგში:

1. დავის გაგრძელება არბიტრაჟში;
2. ეგისთან საქმის მოლაპარაკებით დასრულება და ყველა სადავო საკითხის - წინასაარბიტრაჟო მოლაპარაკებების გზით გადაჭრა.

იმ შემთხვევაში თუკი, ქალაქ ბათუმის მერია აირჩევს დავის გაგრძელებას არბიტრაჟში ეს შესაძლებელია დროშიც გაიწელოს, ამასთან დავის გაგრძელება დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი დავა დასრულდება მორიგებით ქალაქ ბათუმის მერია დავის დასრულების დადებით ეფექტს მიიღებს დაუყონებლივ. რაც მდგომარეობს შემდგომში, დაუყონებლივ გამოთავისუფლდება მესამე და მეოთხე ფაზის ფარგლებში კომპანია ეგისის(EGIS EAU) დარეზერვებული თანხები (დაახლოებით 1 000 000 ევრო); ქალაქ ბათუმის მერიის ბიუჯეტში დამატებით მობილიზდება საკონსულტაციო კომპანია ეგისის (EGIS EAU) მიერ 100 000 ევრო.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ დასვა შეკითხვა აღნიშნული სადავო საკითხის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არასათანადოდ იყო კვლევები გაკეთებული, რამაც გამოიწვია ბიუჯეტის ზრდა, 2 მილიონ ნახევარი არის მაქსიმუმი, რომ მიღებული იქნას მინიმუმი. წინასაარბიტრაჟო მოლაპარაკებების ეტაპზე პრეცედენტების თანახმად 30% ამ თანხისა ანაზღაურებადი არ იქნება, ანუ არბიტრაჟი არ გვიღიარებს. გამომდინარე აქედან შეიძლება ზარალიც მიიღონ, რადგან მათი პრეტენზიებიც შესაძლებელია გაითვალისწინოს არბიტრაჟმა.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიის სხდომაზე იყო მსჯელობა, წლების განმავლობაში არბიტრი იყო და ფაქტობრივად სასამართლოს ესენი წააგებენ იმ არსებული გარემოებიდან გამომდინარე. ერთადერთი ეფექტური გზა მორიგების საშუალებაა. დღეს ის მხარს დაუჭერს მორიგებას.

მომხსენებლის განმარტებით, დამოკიდებული ექსპერტის მიერ გაკეთებულია შესწავლა, მხარეებს შორის 2 წლიანი დავის შემდეგ მორიგების ეტაპი არც თუ ისე მარტივი იყო და მიღებული მორიგების ხელშეკრულება ერთმნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის.

საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძემ ფრაქციის სახელით განცხადება გააკეთა, რომ საკითხს ახლავს დასკვნები, რომელიც ტექნიკური მიზეზების გამო ვერ გაეცნო, არ აქვს ამომწურავი ინფორმაცია, გამომდინარე აქედან ვერ მიიღებს მონაწილეობას კენჭისყრაში.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდნენ: 4 (ი. პატარიძე, დ. ჭიშვილი, ნ. დუმბაძე, ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13
წინააღმდეგი - 2 (ლ. ანთაძე, გ. დეკანაძე)
არ მიიღო მონაწილეობა - 1 (მ. ქამადაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს წერილი (№2279810, 17.09.2019წ.; №24504/25, 20.09.2019წ.), რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე პიაცას მშენებლობის დროს, მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე (სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს განმარტებით) განხორციელდა სატრანსფორმატორო პუნქტის გადატანა/ადგილმონაცვლეობა კომპანიის კუთვნილი, №05.21.28.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან მოედნის მიმდებარე შენობის პირველ სართულზე, თუმცა უძრავი ქონების გაცვლა დღემდე არ მომხდარა. სატრანსფორმატორო პუნქტის განთავსების ფართი №05.21.28.020.01.503 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიერ მოთხოვნილი იქნა ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №25ე-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 73,70 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: 05.21.28.020.01.503) გაცვლა სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N25-ში მდებარე 50,30 კვ.მ. შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებულ 50 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 05.21.28.005).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის 26 სექტემბრის №25/22485 წერილით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ზემოაღნიშნული ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადასაცემად შესაბამისი პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით, შემდგომში სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან მონაცვლეობის მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 27 სექტემბერს წარმოდგენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის №2122/02 წერილი (№25128/25), რომელშიც მოყვანილია ზემოთაღნიშნული გარემოებები, საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული მიმოწერები და აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 73,70 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში, შემდგომში სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან მონაცვლეობის მიზნით და ითხოვს შემდგომი განკარგვის მიზნით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის №25-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 73,70 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.21.28.020.01.503).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთაღნიშნული შენობა-ნაგებობის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში მისი სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან მონაცვლეობის მიზნით, იმ პირობით, რომ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N25-ში მდებარე სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება (ს/კ 05.21.28.005) დარეგისტრირდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ასევე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნით განსაზღვრული, უძრავი ქონების საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა აუნაზღაურდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის №25-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 73,70 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: 05.21.28.020.01.503) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან მონაცვლეობის მიზნით, იმ პირობით, რომ ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ.

№25-ში მდებარე სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში რეგისტრირებული 50,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.21.28.005) დარეგისტრირდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ასევე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნით განსაზღვრული, უძრავი ქონების საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა აუნაზღაურდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ დასვა შეკითხვა ადგილმონაცვლეობის გამოწვევის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ დღეს ხდება მხოლოდ სამართლებრივი მონაცვლეობა.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 3 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 2(რ. თავართქილაძე, გ. დეკანაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით. პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14 საკრებულოს წევრი

კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 6 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, ა. დევაძე, ნ. ზოიძე, დ. ჭეიშვილი, ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და შპს „ხიდი 2006“ -ს შორის 2018 წლის 18 მაისს დადებულ „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შპს „ხიდი 2006“-ისათვის იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 01 მაისის №1775 ბრძანებითა და 2018 წლის 18 მაისის „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებით შპს „ხიდი 2006“-ს პირდაპირი განკარგვის წესით საიჯარო ქირის გადახდისა და შესაბამისი პირობებისა და ვალდებულებების შესრულების პირობით გადაეცა შემდეგი მიწის ნაკვეთები:

ა) საკადასტრო კოდი: №05.23.04.619 სარეგისტრაციო ზონა - ქალაქი ბათუმი, კოდი - 05, სექტორი -23, კვარტალის ნომერი - 04, ნაკვეთის ნომერი - 619, მიწის ფართობი - 11138,0 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ფართი - 1416,7 კვ.მ., უფლება - საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო-სამეურნეო, მესაკუთრე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი;

ბ) საკადასტრო კოდი: №05.23.04.615 სარეგისტრაციო ზონა - ქალაქი ბათუმი, კოდი - 05, სექტორი -23, კვარტალის ნომერი - 04, ნაკვეთის ნომერი - 615, მიწის

ფართობი - 9,0 კვ.მ., უფლება - საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო-სამეურნეო, მესაკუთრე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი;

გ) საკადასტრო კოდი: №05.23.04.618 სარეგისტრაციო ზონა - ქალაქი ბათუმი, კოდი - 05, სექტორი -23, კვარტალის ნომერი - 04, ნაკვეთის ნომერი - 618, მიწის ფართობი - 289,0 კვ.მ., უფლება - საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო-სამეურნეო, მესაკუთრე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი.

შპს „ხიდი 2006“-ს პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემული მიწის ნაკვეთების ერთ-ერთ პირობად ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკი, რუსთაველის ქ. №34-ში (ს/კ №05.23.04.619) მდებარე, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით პირობებით გაცემული 11138 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის 1416,70 კვ.მ. ფართის (საზღვაო პირსი) გაფართოვება-რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. ხელშეკრულებით თანახმად აღნიშნული გაფართოვება-რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოები უნდა დაწყებულიყო არაუგვიანეს 2018 წლის ოქტომბრისა და უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრისა.

შპს „ხიდი 2006“-მა მშენებლობა მითითებულ ვადაში არ დაიწყო, რის გამოც დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2019 წლის 08 იანვრის №2-03/102 წერილით (დასკვნით) დეპარტამენტმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია სამშენებლო სამუშაოების შეთანხმება.

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს 2019 წლის 11 იანვრის №21/72 წერილით (სარეკომენდაციო დასკვნა) სააგენტომ მიიჩნია რომ:

1. სანრემოს რესტორნის პირსის და შენობის სხვა ნაწილების რეკონსტრუქცია შესაძლებელია არსებული მოცულობების პირობებში ხიმინჯების რაოდენობის მომატების გარეშე. მდგრადობის მისაღწევად შესაძლებელია დეფორმირებული ხიმინჯების შეცვლა;
2. სართულიანობის გაზრდის საჭიროების შემთხვევაში საჭიროა არსებული პირსისა და კარკასის დემონტაჟი და არსებული წესებისა და ნორმების, ზღვის სანაპიროს ჰიდრო და მორფოდინამიკური პირობების გათვალისწინებით ახალი პროექტის შედგენა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2019 წლის 08 თებერვლის №270 ბრძანებით, შპს „ხიდი 2006“-ის 2018 წლის 08 ნოემბრის განცხადება არ დაკმაყოფილდა და უარი ეთქვა შპს „ხიდი 2006“-ს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებაზე.

შპს „ხიდი 2006“-მა მოგვმართა 2019 წლის 20 სექტემბრის №24547/25 წერილით, რომელშიც აღნიშნავს, რომ ზემოთ მითითებული შენობის (რესტორანი) თავდაპირველმა პროექტმა განიცადა ცვლილებები, დღეს არსებული პროექტი დამატებით მოითხოვს მიწის ნაკვეთების დამატებას და ითხოვს დამატებით რესტორან „სან რემო“-ს მომიჯნავედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (1207 კვ.მ. ს/კ 05.23.04.062 და 1797 კვ.მ. ს/კ 05.23.04.058) გადაცემას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2019 წლის 22 ოქტომბრის №10150-25 წერილის თანახმად, შპს „ხიდი 2006“-ის მიერ წარმოდგენილი რესტორან სანრემო“-ს რეკონსტრუქციის ესკიზური პროექტი არ მოიცავს (არ ითვალისწინებს) რესტორან „სან რემო“-ს მომიჯნავედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს (1207 კვ.მ. ს/კ 05.23.04.062 და 1797 კვ.მ. ს/კ 05.23.04.058).

გამომდინარე იქედან, რომ წლების მანძილზე გაჭიანურდა ზემოაღნიშნული ობიექტის მშენებლობა და ვერ სრულდება იგი, ამასთან, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად თვლის შპს „ხიდი 2006“-ის თხოვნების მიხედვით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას. ამასთან, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 4 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, ა. დევამე, დ. ჭიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებით დამტკიცებულია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილებაში განსაზღვრულია 4 საშტატო ერთეული, მათ შორის განყოფილების უფროსი და 3 უფროსი სპეციალისტი.

აღნიშნულ განყოფილებაში ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე ყოველწლიურად შემოდის და განიხილება 3500-ზე მეტი წერილი, განცხადება და სხვა კორესპოდენცია, მათ შორის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, სარგებლობაში გადაცემის, ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის, გასხვისების და სხვა საკითხებზე. განყოფილებაში შემოსულ წერილებზე, განცხადებებსა და სხვა კორესპოდენციებზე მზადდება შესაბამისი მასალები - საპასუხო წერილები, საკრებულოს განკარგულების პროექტები, მერის ბრძანებების პროექტები და ა.შ. საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში ელექტრონულად (პროგრამულად) ხდება წარდგენა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით მიწის ნაკვეთების პირველადი რეგისტრაციის მასალები (წელიწადში საშუალოდ 150-ზე მეტი). ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ასევე დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობების პრივატიზების ან/და იჯარით სარგებლობაში განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრების მიღების თაობაზე ყოველწლიურად შემოდის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან 100-ზე მეტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან 150-მდე და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიიდან 20-30 წერილი, რომლებზეც მზადდება საპასუხო მასალები. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის მიზნით ყოველწლიურად საშუალოდ ტარდება 40-მდე ელექტრონული აუქციონი. ყველა ობიექტზე ხდება მოკვლევების განხორციელება - ორგანიზაციებიდან მოსაზრებების მიღება და მათი ანალიზის საფუძველზე ობიექტების განსაკარგად მომზადება. გარდა ჩამოთვლილისა განყოფილებას ანალოგიური სამუშაოების შესრულება უწევს ასევე სხვა საკითხებზეც.

არსებული მოცულობის სამუშაოების შესასრულებლად არასაკმარისია მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილების სამტატო ერთეული. ეს მოქმედებს განყოფილების თანამშრომლებზე გადანაწილებული სამუშაოების შესრულების ხარისხზე, ოპერატიულობაზე, დროულად შესრულებაზე და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სახელმეკრულებო მონიტორინგის, საქალაქო მუნიციპალური სერვისების და ორგანიზაციების კოორდინაციის განყოფილებაში არსებული უფროსი სპაციალისტის ერთი სამტატო ერთეული დაემატოს მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილებას. შესაბამისად, შეტანილი იქნეს ცვლილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები და სამტატო ნუსხა“ ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 2 (ლ. ანთაძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 2(ლ. ანთაძე, გ. დეკანაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის მიზანია: ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 5 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, ა. დევამე, ი. პატარიძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 2(ნ. ძიძიგური, რ. თავართქილაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 10. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის N4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქ-განვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის მიზეზია: „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის N4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე მიწის ნაკვეთების N05.32.06.194; N05.32.06.078; N05.32.06.092 სარეკრეაციო ზონის ცვლილება სამრეწველო ზონად.

ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქN4-ში მდებარე მიწის ნაკვეთების N05.29.16.016; სარეკრეაციო ზონის ცვლილება სამრეწველო ზონად.

ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე მიწის ნაკვეთების N05.34.23.761; N05.34.23.762; N05.34.23.760 ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის ცვლილება საკურორტო სარეკრეაციო ზონად. განმცხადებლის ინფორმაციით საპროექტო ტერიტორია არის ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში, გამომდინარე იქედან, რომ არ არის პლაჟის ტერიტორია ბუნებრივი ბარიერით იზოლირებული. აღნიშნულ ტერიტორიაზე 2000 წლიდან ფუნქციონირებს საზაფხულო კაფე-ბარი და ზონირების რუკის მიხედვით ვერ შეიძლება იყოს განყენებული ზონა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ გენერალური გეგმის დამტკიცებამდე წინააღმდეგია ცვლილებისა, მიმდინარე წელს საუბარი იყო აეროპორტის გადატანაზე, რომელიც ახლო მომავალში კიდევ დადგება ეს საკითხი, რამდენად მიზანშეწონილია ზონის ცვლილება?

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ

ქალაქის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე ასეთ საკითხებზე მსჯელობისგან თავი უნდა შევიკავოთ.

საკრებულოს წევრი ლევან ანთაძე დაეთანხმა და აღნიშნა, რომ წინა წლებში საკრებულომ მიანიჭა სარეკრეაციო ზონა, დღეს კი საუბარია ზონის ცვლილებაზე.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ასეთი საკითხები სიღრმისეულად უნდა იქნას შესწავლილი.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 4 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, ა. დევამე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა: 4 (ლ. ანთაძე, გ. დეკანაძე, ა. მამულაძე, რ. თავართქილაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებული იქნას მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებელი:

ა) ახალსაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ბ) შენობა-ნაგებობებზე ახალი სართულ(ებ)ის დაშენების ან არსებული სართულ(ებ)ის დემონტაჟისას დაშენებული ან/და დემონტირებული სართულ(ებ)ის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის 1 კვ.მ-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

გ) შენობა-ნაგებობის ნებისმიერი სართულის განაშენიანების ინტენსივობის ფართობის შეცვლისას დამატებული განაშენიანების ინტენსივობის ფართობის 1 კვ.მ-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

დ) დემონტაჟის დროს დემონტაჟს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის განაშენიანების ინტენსივობის ფართობის 1 კვ.მ.-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ე) დროებითი შენობა-ნაგებობის მონტაჟი/განთავსების დროს შენობა-ნაგებობის განაშენიანების ინტენსივობის ფართობის 1 კვ.მ-ზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ვ) მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დროს ხაზობრივი ნაგებობის პროექტით გათვალისწინებულ ერთ გრძივ მეტრზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

ზ) მიწისზედა ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დროს ხაზობრივი ნაგებობის პროექტით გათვალისწინებულ ერთ გრძივ მეტრზე 0,40 (ორმოცი თეთრი) ლარის ოდენობით;

თ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის ახალი მშენებლობისას სამშენებლო დოკუმენტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის ფართობის 1 კვ.მ-ზე 5 (ხუთი) ლარის ოდენობით;

ი) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი ან არ ხდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის გაზრდა, მოსაკრებლის ოდენობა II კლასის ობიექტებისთვის განისაზღვროს 50 ლარის, III კლასის ობიექტებისთვის – 200 ლარის, ხოლო IV კლასის ობიექტებისთვის – 400 ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა: 4 (ნ. დუმბაძე, ა. დევამე, მ. ქამადაძე, დ. ჭიჭილაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 12. „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებულ სარეკრეაციო ზონაში მოქმედი დადგენილების თანახმად არ არის დასაშვები საინჟინრო და კომუნალური ობიექტების განთავსება, როგორც პრაქტიკამ აჩვენა ხშირია შემთხვევა, როცა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე პროექტების განხორციელება ფერხდება ამ ზონის ტერიტორიაზე იმ მოტივით, რომ ვერ ხდება საინჟინრო და კომუნალური ობიექტების განთავსება. აღნიშნულიდან გამომდინარე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიაჩნია, რომ შესაძლებელია სარეკრეაციო ზონაში ერთ-ერთ დასაშვებ სახეობად განისაზღვროს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის კომუნალური და საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობების მშენებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 4 (ნ. დუმბაძე, ა. დევამე, მ. ქამადაძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 2 (რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 13. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია საკრებულოს წევრის ომარ მახარაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 4 (ნ. დუმბაძე, ა. დევამე, მ. ქამადაძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

და ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 14.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ 2018 წლის 27 დეკემბრის №79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიხედვით:

1. საჯარო დაწესებულებაში „საჯარო მოსამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს.
2. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ბათუმი“-ს თავმჯდომარემ მოგვმართა წერილობით ფრაქციის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით ფრაქციაში დამხმარე სპეციალისტის შრომითი ხელშეკრულებით აყვანის შესახებ.

ფრაქციას უფლება აქვს ფრაქციის ფუნქციების განხორციელების ორგანიზაციულ ტექნიკური უზრუნველყოფისათვის მოიწვიოს სპეციალისტი.

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს. თუმცა საფუძვლიანი გარემოების არსებობისას, საჯარო დაწესებულების მუშაობის ხელშეწყობის მიზნით გამონაკლისის სახით შესაძლებელია მუნიციპალიტეტის შემთხვევაში საკრებულოსთან შეთანხმებით საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად კანონმდებლობით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის ზევით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მოწვევა კერძოდ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით

დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი დაშვებას მუნიციპალიტეტის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით და ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი ფრაქციის „ბათუმელები“-ს ფრაქციის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ 2018 წლის 27 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის პროექტს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა დღემდე შეადგენდა 18 ერთეულს, აღნიშნული ცვლილების შესაბამისად კი იქნება 19 ერთეული.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 4 (ნ. დუმბაძე, ა. დევაძე, მ. ქამადაძე, დ. ჭიეშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 2(ლ. ანთაძე, გ. დევანაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 15. ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N57-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე ანზორ კვაჭაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქართული ფეხბურთის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბათუმელი მეკარე (გოლკიპერი) ანზორ კვაჭაძე წლების განმავლობაში ოსტატურად იცავდა ქართული ფეხბურთის ღირსებას.

1953 წელს ფეხბურთის თამაში დაიწყო მაღალი ფეხბურთის მეფედ წოდებული ბორის ფროდოვის ხელმძღვანელობით და ამავე წელს გადავიდა საქართველოს ჯუნior ფეხბურთელთა ნაკრებში. მისი დამსახურებით გუნდმა საკავშირო პირველობაზე ჩემპიონატობა მოიპოვა. 1959 წელს მისივე ძალისხმევით თბილისის დინამო მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.

ბოლო ექვსი სეზონი ბათუმში ითამაშა „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდებს შორის, სადაც ლიგის საუკეთესო წევრის სახელი დაიმსახურა. 1979-1973 წწ. მუშაობდა ბათუმის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსად, პარალელურად ფეხბურთის სკოლაში მწვრთნელად. გარდაცვალებამდე (1999წ.) მუშაობდა ბათუმის ავტოსადგურის დირექტორის თანამდებობაზე.

ანზორ კვაჭაძეს მინიჭებული ქონდა სპორტის ოსტატისა და დამსახურებული მწვრთნელის წოდებები.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 4 (ნ. დუმბაძე, ა. დევაძე, მ. ქამადაძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 16. სამშენებლო კომპანია შპს „სვეტი ჯგუფის“ მიერ დაზარალებულთა პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძიების შესახებ მომართვის პროექტი
(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრი - გელა დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №1 (ს/კ 05.30.38.031) სამშენებლო კომპანია შპს „სვეტი ჯგუფი“ ახორციელებდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. ამ კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ბინის მომავალ მესაკუთრებებთან, რომლის თანახმადაც კომპანიამ იკისრა ვალდებულება მოქალაქეებისაგან გარკვეული ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ მათთვის საკუთრებაში გადაეცა ბინები. გაფორმდა ხელშეკრულებები, მოქალაქეებს გადახდილი აქვთ ბინების ნასყიდობის საფასური, თუმცა კომპანიას დღემდე არ შეუსრულებია ვალდებულებები. სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფაა. სწორედ ამ კუთხით, მნიშვნელოვანია ქალაქ ბათუმის მერიის ჩართვა იმ ფორმით ამ საკითხის გადაჭრაში, რა ფორმითაც სთავაზობს ბათუმის საკრებულო. ასევე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიმართვა არ არის იმპერატიული ხასიათის, აქ მნიშვნელოვანია პრობლემის წარმოჩინება და ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, რაც არ გამორიცხავს მერის მხრიდან დამატებითი ღონისძიებებისა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც პირდაპირ არ არის აღნიშნული მიმართვაში, მაგრამ მიმართულია პრობლემის ეფექტურად გადაჭრისაკენ. ამ მიმართვის საკრებულოს მიერ მიღება და

შემდგომში მისი აღსრულება დამატებით სახსრების გამოყოფას ბიუჯეტიდან არ საჭიროებს.

გარდა იმისა, რომ ხსენებული საკითხი წარმოადგენს წმინდა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას (შესაძლოა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებიც არსებობდეს), სახელმწიფომ, როგორც სოციალური თანასწორობის გარანტმა (განსახილველ შემთხვევაში ეს როლი ეკისრება ქ. ბათუმის მერიას), უნდა განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები, რათა მაქსიმალურად ხელი შეუწყოს სამშენებლო კომპანია შ.პ.ს. „სვეტი ჯგუფი“ მიერ დაზარალებულ მოქალაქეთა პრობლემების გადაჭრას, მითუმეტეს, რომ ზუსტად ამავე კომპანიასთან მსგავსი პრობლემის გადაჭრის ფაქტი არსებობს უკვე თბილისის მერიის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად. ამ მიმართულებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გააჩნია თავისი ხედვა, რის გამოც მ ი ვ მ ა რ თ ა ვ თ ქ. ბათუმის მერიას:

1. მიმართვის მიღებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შევლენ ქ. ბათუმის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის, ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება, ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს წარმომადგენლები (შესაძლოა ეს რიცხვი გაიზარდოს მერის შეხედულებისამებრ).

2. აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფმა, ქ. ბათუმის მერის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში უნდა შეისწავლოს და აღრიცხოს დაზარალებულთა ზუსტი ოდენობა და ვინაობა (ასევე შეასრულოს ქ. ბათუმის მერის მიერ მითითებული სხვა დავალებები, რომელიც მიმართულია პრობლემის გადაჭრისკენ).

3. მიმართვის პირველ და მეორე პუნქტში მითითებული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ, ქ. ბათუმის მერიამ უშუალოდ და სხვა სამთავრობო უწყებებთან კოორდინაციის გზით უზრუნველყოს ინვესტორის მოძიება ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №1 მისამართზე მიმდინარე მშენებლობის დასრულების მიზნით.

4. პარალელურ რეჟიმში აწარმოოს მოლაპარაკება სამშენებლო კომპანია შ.პ.ს. „სვეტი ჯგუფი“ წარმომადგენლებთან, რათა ახალი ინვესტორის მოზიდვის შემთხვევაში კომპანია შ.პ.ს. „სვეტი ჯგუფი“, რომელიც ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №1 მისამართზე მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით არსებული თავისი უფლებები და მოვალეობები გადასცეს ახალ ინვესტორს.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ ანალოგიურ თემაზე ბათუმის მერიაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ საკითხზე მუშაობს.

ქალაქ ბათუმის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ნუკრი დეკანაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით 4 წლის წინ მერიას მომართეს დაზარალებული მოსახლეობის წარმომადგენლებმა და მათმა უფლებადამცველმა განცხადებებით, მოითხოვეს სათანადო დახმარების აღმოჩენა. ამ ტერიტორიაზე შ.პ.ს. „სვეტი ჯგუფი“ მიერ

უნებართვოდაა განხორციელებული მშენებლობა. მშენებლობის ნებართვა იყო გაცემული მიწისქვეშა სამუშაოებზე, ხოლო მიწისზედა სამუშაოები არის განხორციელებული უნებართვოდ. შესწავლილია მასალები სამუშაო ჯგუფის მიერ და შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შენობა-ნაგებობის დაახლოებით 1/3 ნაწილი აშენებულია არა შ.პ.ს. „სვეტი ჯგუფის“ არსებულ მიწის ნაკვეთზე, არამედ მომიჯნავედ არსებულ სხვის საკუთრებაში. მასალები ამოღებულია ფინანსური პოლიციის მიერ და გამოძიება დაწყებული. გენერალური პროკურატურაც სწავლობს აღნიშნულ საკითხს. დაზარალებული ადამიანების მოთხოვნა არის ის, რომ მოინახოს ინვესტორი, მსგავსად თბილისისა, რომელიც შეძლებდა მშენებლობის დაწყებას და დასრულებას. მერიის მიერ მოხდა შესწავლა, შეხვდნენ ინვესტორებს, მაგრამ თბილისისგან განსხვავებით უნებართვო მშენებლობაა. დაზარალებულებსა და კომპანიას შორის მერია ასრულებს შუამავლობის ფუნქციას.

საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძემ აღნიშნა, რომ მშენებლობა უნებართვოდ ხორციელდებოდა, კომპანია სარეკლამო კამპანიას აწარმოებდა, გამომდინარე აქედან ერთგვარი პასუხისმგებლობა თვითმმართველობას აქვს.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ მიმართვის პროექტიდან გამომდინარე მერია უკვე მუშაობს, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, ინვესტორებთან აწარმოებს მოლაპარაკებას.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ასეთი საკითხები მხარდასაჭერია.

საკრებულოს წევრი რაულ თავართქილაძე ეთანხმება და მხარს უჭერს წარმოდგენილ მიმართვას.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ მასალები იქნას გამოთხოვილი და შესწავლილი.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა აღნიშნა, რომ უპირველესი მოვალეობაა მოსახლეობის მხრდაჭერა. აღნიშნული დოკუმენტაცია სიღრმისეულად იქნას შესწავლილი.

საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინიციატივა წამოიჭრა იქედან, რომ თბილისში მსგავსი პრობლემა გადაიჭრა.

საკრებულოს წევრმა თემურ კახიძემ აღნიშნა, რომ მხარს უჭერს ზურაბ ნაკაიძის წინადადებას, რათა ხელი შეუწყოს მოქალაქეებს, რომ მათი ინტერესები არ დაირღვეს.

საკრებულოს წევრმა მირდატ ქამადაძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტების გამოთხოვების პუნქტი დაემატოს მიმართვის პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 5 (ი. პატარიძე, დ. ჭეიშვილი, ნ. ზოიძე, დ. მახარაძე, ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 5 (რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე, ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, გ. დეკანაძე)
წინააღმდეგი - 8 (ს. თებიძე, თ. სალუქვაძე, ლ. სირაზიძე, გ. მგელაძე, თ. კახიძე, თ. დევაძე, ე. ანდრიაძე, ნ. ძიმიგური)
არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ზ. ნაკაიძე, ა. დევაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : არ იქნა მიღებული წარმოდგენილი მიმართვის პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე

